წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი

(თვისებრივი ნაწილი)

11-31 მაისი 2012

CRRC-ის მიერ განხორციელებული წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს ორ ნაწილს: რაოდენობრივს და თვისებრივს. თვისებრივი კომპონენტებია: ბალანსი, მიუკერძოებლობა, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, კადრებით და მუსიკით მანიპულირება. ამ კომპონენტებზე დაყრდნობით წარმოდგენილია 11-31 მაისის საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით. თვისებრივი ნაწილის მონაცემები შეიძლება, განსხვავდებოდეს რაოდენობრივისგან თავისი შინაარსით, განსაკუთრებით ტონის და საერთო შთაბეჭდილების ნაწილში, რადგან რაოდენობრივში ტონი ითვლება მხოლოდ კონკრეტული სუბიექტების მიმართ, ხოლო თვისებრივად დაკვირვება ხდება სიუჟეტზე ზოგადად.

პირველი არხი

მონიტორინგის დასაწყისში პირველი არხის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებზე მომზადებულ სიუჟეტებში უმეტესად სახელისუფლებო და სამთავრობო სუბიექტები შუქდებოდა. მაგალითად, 11-12 მაისის გამოშვებებში სიუჟეტები ძირითადად ეხებოდა მთავრობის წევრების სტუმრობას სხვადასხვა რეგიონებში და საზღვარგარეთ, ასევე პრეზიდენტსა და თბილისის მერს. მომდევნო დღეებში თანდათანობით გამოჩნდნენ სხვა სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები და ოპოზიციური პარტიები.

საინტერესოა იმაზე დაკვირვება, თუ რა საერთო შთაბეჭდილება რჩება სიუჟეტიდან. ისევე, როგორც რაოდენობრივ ნაწილში, თვისებრივი დაკვირვებითაც უმეტესად ნეიტრალური საერთო შთაბეჭდილება რჩებოდა სუბიექტების მიმართ. თუმცა, იშვიათ შემთხვევაში სიუჟეტებიდან დადებითი საერთო შთაბეჭდილება რჩება მმართველ გუნდსა და

პრეზიდენტზე. წარმოდგენილი რესპონდენტების მიხედვით სიუჟეტები ძირითადად დაბალანსებულია, თუმცა, გვხვდება ისეთი სიუჟეტებიც, სადაც მხოლოდ ერთი მხარის კომენტარებია გაშუქებული.

რუსთავი 2

ამ პერიოდის რუსთავი 2-ის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში სიუჟეტები ძირითადად არის პოლიტიკაზე, უმეტეს შემთხვევაში ეს არის საქართველოში მიმდინარე რეფორმებთან, აღმშენებლობასთან დაკავშირებული სიუჟეტები და მეტწილად მოიცავს ხელისუფლების აქტივობებს. სიუჟეტების მეორე დიდი ნაწილი ეთმობა ქართულ ოცნებას და მის წევრებს. ზოგადად, სიუჟეტები ნეიტრალურად იყო გაშუქებული და უარყოფითი შთაბეჭდილება რჩებოდა მხოლოდ არასაპარლამენტო ოპოზიციის, კერძოდ, ივანიშვილისა და მისი კოალიციის ან პარტიის წევრების მიმართ.

აღსანიშნავია 22 მაისის სიუჟეტი „ივანიშვილი და მშვიდობის ხიდი“, სადაც შეინიშნება კადრებით მანიპულირების შემთხვევა. სიუჟეტი ეხება ბიძინა ივანიშვილის დამოკიდებულებას მშვიდობის ხიდის მიმართ. ჯერ ნაჩვენებია მშვიდობის ხიდის კადრები, თუ როგორ იყენებენ მას სხვადასხვა ღონისძიებებისთვის: პოდიუმი, გამოფენა, საქორწილო სურათები. შემდეგ კი ჟურნალისტი ამბობს, რომ ივანიშვილის განცხადებამ ექსპერტებს ერთ-ერთი ცნობილი ადამიანი და ხიდი გაახსენა. იგულისხმება ასლან აბაშიძე და ჩოლოქის ხიდი 2004 წელს. ამ დროს აჩვენებენ კიდეც ჩოლოქის ხიდის აფეთქების კადრებს, რაც საერთო ჯამში უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს ბიძინა ივანიშვილზე.[1]

იმედი

იმედის საინფორმაციო გამოშვებების ზოგადი ტენდენცია სიუჟეტების საერთო შთაბეჭდილების მხრივ ისაა, რომ მთლიანობაში უმეტესად ნეიტრალური სიუჟეტებია. თუმცა, სიუჟეტები პრეზიდენტსა და მთავრობაზე უფრო დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, ხოლო ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული სიუჟეტები - უფრო უარყოფითს.

[1] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=30Sw9u335JA&feature=youtu.be

მონიტორინგის დროს გამოვლინდა ჟურნალისტის მიერ სხვადასხვა სუბიექტის უარყოფითად მოხსენიება:

- მაგალითად, 11 მაისის სიუჟეტში „ივანიშვილის როსკრედიტი - „ჯიბიდან ჯიბეში“: წინასაარჩევნო ფიქცია?“ ჟურნალისტი ამბობს, - „ოლიგარქმა კარგად იცის, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური ლაქა იმ ფულის წარმომავლობაა, რომელიც უკვე დახარჯა ქართულ პოლიტიკაში მოსასვლელად. თუმცა, როგორც ჩანს, დასახარჯი ჯერ კიდევ ბევრი აქვს“.
- 28 მაისის გამოშვებაში, სიუჟეტში „ცაგარეიშვილი „ოცნების“ აქციაზე“ ჟურნალისტი ლევან გაჩეჩილაძეს მოიხსენიებს, როგორც „პოლიტიკაში ბილწსიტყვაობის ვეტერანს“.

სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების თვალსაზრისით, ერთნაირი რაოდენობით გამოიკვეთა დაბალანსებული და დაუბალანსებელი სიუჟეტები. თუმცა, პოლიტიკური პარტიებისა და პრეზიდენტის გამოსვლების გაშუქებისას სიუჟეტებში ხშირი იყო მხოლოდ ერთი მხარის წარმოჩენა.

ამ პერიოდში იმედზე კადრებით მანიპულირების განსაკუთრებული შემთხვევა არ გამოკვეთილა. ყველაზე თვალშისაცემი იყო პრეზიდენტის შესახებ სიუჟეტებში სკანდირებითა და ოვაციებით დადებითი ფონის შექმნა.

მაესტრო

მაესტროზე ამ პერიოდში გასულ საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში თანაბრად შუქდება როგორც მთავრობის, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლები. სიუჟეტებში ძირითადად ყველა მხარეა წარმოდგენილი.

საერთო ჯამში, სიუჟეტების უმეტესობა ნეიტრალურ საერთო შთაბეჭდილებას ტოვებს სუბიექტებზე. თუმცა, მაინც შეინიშნება, რომ ბიძინა ივანიშვილის შესახებ მომზადებული სიუჟეტებისგან განსხვავებით, მთავრობის გაშუქება ოდნავ უფრო უარყოფითისკენ იხრება და შეინიშნება ირონია.

ამის ერთ-ერთ მაგალითად გამოდგება 11 მაისის სიუჟეტი მთავრობის წევრთა მივლინების ხარჯების შესახებ, სადაც პირველივე წინადადებაში ჟურნალისტი მთავრობას „ფეხმარდ და მკვირცხლებად“ მოიხსენიებს და აღნიშნავს, რომ „ფეხმარდი და მკვირცხლი მთავრობის სამივლინებო თანხას კი პრეზიდენტი შეისწავლის.“

კავკასია

კავკასიის საინფორმაციო გამოშვებებში სიუჟეტები ძირითადად გადის სათაურის გარეშე. ასევე, სიუჟეტში წარმოდგენილ რესპონდენტებს ძირითადად არ აქვს მიწერილი სახელი, გვარი და სტატუსი, ამიტომ ხშირად რთულია იმის გარკვევა, თუ ვინ საუბრობს. მთლიანობაში სიუჟეტები ნეიტრალურ საერთო შთაბეჭდილებას ტოვებს.

სიუჟეტში გამოყენებული წყაროების თვალსაზრისით, სიუჟეტები ძირითადად დაუბალანსებელი იყო. მეტწილად ხდებოდა მხოლოდ ერთი წყაროს გამოყვანა. იყო შემთხვევები, როცა სიუჟეტს საერთოდ არ ჰყავდა წყარო.

უმეტესწილად კავკასიაზე გასულ სიუჟეტებში წარმოჩენილი ფაქტები და ჟურნალისტის ნათქვამი დასტურდებოდა სიუჟეტში რესპონდენტის კომენტარებით ან კადრებით. მაგალიტად, სიუჟეტში ისანი-სამგორის გამგებლის მოადგილისა და პარტია თავისუფალი დემოკრატების წევრის კამათის შესახებ სიუჟეტში ნაჩვენები იყო კამათის კადრები, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა.

მეცხრე არხი

მეცხრე არხზე საღამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები ძირითადად დაბალანსებულია გამოყენებული რესპონდენტების მიხედვით, წარმოდგენილია რამდენიმე მხარე.

სიუჟეტებშიც ხშირია ნეიტრალური გაშუქება. თუმცა, გამოიკვეთა სახელისუფლებო პარტიის, მთავრობის წარმომადგენლებისა და მიხეილ სააკაშვილის ირონიულად და უარყოფითად წარმოჩენა. რაოდენობრივადაც უფრო ხშირია სიუჟეტები მთავრობასა და სახელისუფლებო წარმომადგენლებზე და მათ საქმიანობაზე, ვიდრე სხვა სუბიექტებზე.

მაგალითად, 24 მაისის სიუჟეტში ფოთის აეროპორტის მშენებლობის შესახებ ახსენებენ, რომ მიხეილ სააკაშვილის იდეა იყო ფოთში აეროპორტის აშენება. სიუჟეტიდან გამომდინარე უარყოფითი შთაბეჭდილება რჩება ხელისუფლებისადმი, რადგან სიუჟეტიდან მტკიცდება, რომ ფოთის აეროპორტის მშენებლობა, ჭაობების დაშრობა გამოიწვევს ეკოლოგიურ დარღვევებს.

მეცხრე არხზე გამოიკვეთა შემთხვევები, როცა ჟურნალისტის ნათქვამი და სიუჟეტში გამოყენებული რესპონდენტის კომენტარები ერთმანეთთან შესაბამისობაში არ მოდის.
22 მაისის სიუჟეტში განხილულია თბილისში პარლამენტის შენობაზე დაკიდებული ინგლისურენოვანი ბანერი. ჟურნალისტი ამბობს, რომ პუბლიცისტი ვასილ მაღლაფერიძე ბანერს „პოლიტიკურ გოიმობად აფასებს“. ვასილ მაღლაფერიძე კი თავის კომენტარში სხვა თემას ეხება და შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ მთავრობის ლექსიკაში მშენებლობაზეა მეტი აქცენტი, ვიდრე თავისუფლებაზე, როგორც ეს საბჭოთა კავშირის დროს იყო.

რეალ ტვ

რეალ ტვ-ს საინფორმაციო გამოშვებებში უმეტესად შუქდება ბიძინა ივანიშვილი და კოალიცია ქართული ოცნება და საერთო შთაბეჭდილება მკვეთრად უარყოფითი რჩება. ხშირია მონტაჟისა, კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევები, ოპოზიციის წარმომადგენლების ირონიული და ცინიკური ეპითეტებით მოხსენიება.

ხშირია ისეთი ფრაზები, როგორიცაა: „მთავარი მეოცნებე“, „ოლიგარქის გარშემო დიდი აღებ-მიცემობაა“. ჟურნალისტი ქართული ოცნების წევრ ელისო ჩაფიძეს იხსენიებს, როგორც „ხაჭაპურის მცხობელსა და ინგლისურის მცოდნეს“.

17 მაისის სიუჟეტში „ოცნების შეხვედრები“ კახა შარტავა ამბობს, რომ შემოდგომა ცხელი იქნება. შემდეგ ჟურნალისტი შარტავას ირონიულად მოიხსენიებს: „ოფლმორეულმა და აღტკინებულმა კახა შარტავამ ცხელი ოქტომბერი ხაშურელებს დაუანონსა“.

უარყოფითი გასუქებისა და კადრებით მანიპულირების ერთ-ერთი კარგი მაგალითია 28 მაისის სიუჟეტში 27 მაისის ქართული ოცნების აქციის კადრები, სადაც კალაძე სიტყვით გამოდის და ხალხს მიმართავს. კადრები არის გაშავთეთრებული, აჩქარებული, დადებული აქვს მუსიკა კინო ფილმიდან „ფეოლა“ და ნაჩვენებია ის ნაწილი, სადაც იპოლიტე ხვიჩია ამბობს: „ხვედელიძე, დაცვას მიხედე, დაცვას“. შემდეგ აჩვენებენ კადრს კალაძის ძველი საფეხბურთო მატჩიდან, სადაც იგი მოდის და მხრებს იჩეჩავს. ამის შემდეგ ისევ იპოლიტე ხვიჩიას კადრია, სადაც იგი ცუდადაა და იძახის „გოლი, გოლი მინდა,“ სადაც მინიშნებაა კალაძის ორ ავტოგოლზე. სიუჟეტი კოალიცია ქართული ოცნების წევრ კალაძეს ძალიან უარყოფითად წარმოაჩენს.[2]

[2] იხილეთ სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=zbpy7t-CgoQ&feature=youtu.be